ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N70

2018 წლის 11 აპრილი

ქ.ქობულეთი

საზაფხულო სეზონთან დაკავშირებით ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების (მათ შორის პლაჟები) საიჯარო ფასების განსაზღვრის თაობაზე

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის N669 დადგენილების „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ 36-ე მუხლის, ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 23 მარტის N44 განკარგულების „საზაფხულო სეზონთან დაკავშირებით ქ. ქობულეთის ტერიტორიის ზონებად დაყოფის თაობაზე“, საქართველოს კანონის „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 61-ე მუხლის შესაბამისად, ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო განსაზღვრავს:

1. 2018 წლის საზაფხულო სეზონთან დაკავშირებით ქ. ქობულეთის ზონირებული ტერიტორიების საიჯარო ფასები განისაზღვროს თანდართული დანართი N1-ის შესაბამისად.
2. ზღვისპირა სანაპირო ზოლში, პლაჟის ტერიტორიაზე შეზლონგების განთავსების შემთხვევაში საიჯარო ფასები განისაზღვროს თანდართული დანართი N2-ის შესაბამისად.
3. ზღვისპირა სანაპირო ზოლში, პლაჟის ტერიტორიაზე კაფე-ბარების, ბუნგალოების, გასართობი ატრაქციონების, საშხაპეების და სხვა ობიექტების განთავსების შემთხვევაში საიჯარო ფასები განისაზღვროს თანდართული დანართი N3-ის შესაბამისად.
4. დაბა ჩაქვის ადმინისტრაციულ ერთეულსა და მუნიციპალიტეტის სხვა ადმინისტრაციულ ერთეულებში ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნილების მიწის ნაკვეთების საიჯარო ფასები განისაზღვროს თანდართული დანართი N4-ის შესაბამისად.
5. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 12 აპრილის N42 განკარგულება.

6. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ა.ანანიძე).
7. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქუჩა N30).
8. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე დ.მჭედლიშვილი

დანართი N1

№	ქ.ქობულეთის ზონირების მონაცემები	საიჯარო ფასი 1კვ/მ-დან 5 კვ/მ-ის ჩათვლით /ლარი/	საიჯარო ფასი 6 კვ/მ-დან 10 კვ/მ-ის ჩათვლით /ლარი/	საიჯარო ფასი 10 კვ/მ-დან ზევით ყოველ კვ/მ-ზე /ლარი/
1	1-ზონა, ჟვანიას სახელობის ხიდიდან დ.აღმაშენებლის გამზირი N832-მდე	96,25	192,5	3,85
2	2-ზონა			
2,1	1-ქვეზონა, თამარ მეფის სანაპირო (დ.აღმაშენებლის გამზირი N375-დან N303-მდე მოპირდაპირედ-თამარის სანაპიროზე)	140	280	5,6
2,2	2-ქვეზონა, დ.აღმაშენებლის გამზირი N832 დან N718-მდე	105	210	4,2
2,3	3-ქვეზონა, რუსთაველის ქუჩა N276-დან N262-მდე. (ფიჭვნარის სასაფლაომდე)	43,75	87,5	1,75
3	3-ზონა			
3,1	1-ქვეზონა-თამარ მეფის სანაპირო (დ. აღმაშენებლის გამზირი N303-დან N291-ის მოპირდაპირედ თამარ მეფის სანაპიროზე)	175	350	7
3,2	2-ქვეზონა, დ.აღმაშენებლის გამზირი N718-დან N582-მდე	140	280	5,6
4	4- ზონა, -რუსთაველის ქუჩა N262-დან ვერულიძის ქუჩის კვეთამდე	61,25	122,5	2,45
5	5- ზონა			
5,1	1-ქვეზონა-თამარ მეფის სანაპირო (დ. აღმაშენებლის გამზირი N291-დან N271-ის მოპირდაპირედ თამარ მეფის სანაპიროზე)	262,5	525	10,5
5,2	2-ქვეზონა-დ.აღმაშენებლის გამზირი N582-დან N308-მდე	192,5	385	7,7
6	6-ზონა			
6,1	1-ქვეზონა-თამარ მეფის სანაპირო (დ.აღმაშენებლის გამზირი N271-ის მოპირდაპირედ, თამარ მეფის სანაპირო N124-მდე)	175	350	7
6,2	2-ქვეზონა-დ.აღმაშენებლის გამზირი N308-დან N198-მდე	140	280	5,6

7	7-ზონა-რუსთაველის ქუჩა-ვერულიძის ქუჩის კვეთიდან-რუსთაველის ქუჩა N116-მდე	131,25	262,5	5,25
8	8-ზონა			
8,1	1-ქვეზონა-თამარ მეფის სანაპირო N124-დან N2-მდე	148,75	297,5	5,95
8,2	2-ქვეზონა-დ.აღმაშენებლის გამზირი N198-დან N88-მდე	113,75	227,5	4,55
9	9-ზონა-თავისუფლების ქუჩა-კულტურის სახლიდან-რკინიგზის ლიანდაგამდე	78,75	157,5	3,15
10	10-ზონა,-რუსთაველის ქუჩა N109-დან N7-მდე (ჭავჭავაძის, ლესელიძის, ჯავახიშვილის და ნინოშვილის ქუჩების ჩათვლით)	61,25	122,5	2,45
11	11-ზონა-მეგობრობის ქუჩა-თამარ მეფის სანაპირო N2-დან მეგობრობის ქუჩის ბოლომდე, ზღვისპირა ზოლიდან მეგობრობის ღერძულა ხაზამდე)	52,5	105	2,1
12	12-ზონა-დ.აღმაშენებლის გამზირი-ლესელიძის შესახვევიდან-აღმაშენებლის გამზირი N1-მდე	43,75	87,5	1,75
13	13-ზონა-მეგობრობის ქუჩის ღერძულა ხაზის აღმოსავლეთით მდინარე კინტრიშამდე (თბილისის, სოხუმის, კოსტავას, 26 მაისის, ჩეხოვის, ძნელაძის, ლერმონტოვის ქუჩების ჩათვლით)	43,75	87,5	1,75
14	14-ზონა-მ.აბაშიძის ქუჩა (რკინიგზის სადგურიდან მდ.კინტრიშის ხიდამდე, ორივე მხარე)	43,75	87,5	1,75
15	15-ზონა-გელაური-ახალსოფლის დასახლება	26,25	52,5	1,05
16	16-ზონა-მ.აბაშიზის ქუჩა-მდ.კინტრიშის ხიდიდან რკინიგზის ხიდამდე, ემტეესის ჩათვლით	26,25	52,5	1,05

შენიშვნა: საზაფხულო სეზონთან დაკავშირებით საიჯარო ფასი 10 კვ.მეტრის ზემოთ გამოიანგარიშება შემდეგნაირად: 10 კვ.მ მიწის ნაკვეთის ღირებულების ფასს ემატება აღნიშნულ ზონაში განსაზღვრული ფასის შესაბამისად ყოველ 1 კვ.მეტრისათვის დადგენილი ღირებულების ნამრავლი მიწის დარჩენილ ფართთან. მაგალითად: მე-3 ზონის პირველ ქვეზონაში 100 კვ.მ მიწის ნაკვეთზე საიჯარო ფასი განისაზღვრება შემდეგნაირად: 350 ლ-10 კვ.მეტრზე და ემატება 630 ლარი (7ლარი*90კვ.მ=630ლ), სულ, ჯამში 980 ლარი.

დანართი N2

№	ზღვისპირა სანაპირო ზოლი (პლაჟი)	2018 წლის შეფასება აუდიტის მიერ, 1 კვ/მ-ის საპრივატიზაციო ღირებულება /ლარი/	საიჯარო ფასი შეზღონგების განსათავსებლად 20 კვ. მეტრზე (ერთი სექტორი)
1	N1-ზონა (N1-დან N40-ის ჩათვლით)		
	20.42.01.228	55	
	20.42.01.225	70	
	20.42.01.226	70	
	20.42.01.227	90	240
	20.42.01.075	90	
	20.42.01.076	90	
	20.42.01.074	95	
	20.42.01.080	110	
2	N2-ზონა (N1-დან N25-ის ჩათვლით)		
	20.42.01.081	110	
	20.42.01.114	110	540
	20.42.01.113	120	
3	N3-ზონა (N1-დან N34-ის ჩათვლით)		
	20.42.01.070	130	
	20.42.04.029	170	480
	20.42.04.030	170	
	20.42.04.031	150	
4	N4-ზონა (N1-დან N10-ის ჩათვლით)		
	20.42.08.048	80	
	20.42.08.047	80	300
	20.42.09.054	70	
	20.42.09.382	70	

5	N5-ზონა, სექტორი N1-დან N43-ის ჩათვლით (დაბა ჩაქვი, სოფ. ციხისძირი)		
	20.48.01.480	100	200
	20.48.01.478	110	
	20.48.01.479	110	
	20.46.01.495	160	
	20.46.01.745	160	

დანართი N3

№	ქობულეთის ზღვისპირა სანაპირო ზოლი (პლაჟი)	1 კვ. მეტრის ფასი /ლარი/
1	N1-ზონა, სექტორი N1-დან N40-ის ჩათვლით	12
2	N2-ზონა, სექტორი N1-დან N25-ის ჩათვლით	27
3	N3-ზონა, სექტორი N1-დან N34-ის ჩათვლით	24
4	N4-ზონა, სექტორი N1-დან N10-ის ჩათვლით	15
5	N5-ზონა, სექტორი N1-დან N43-ის ჩათვლით (დაბა ჩაქვი, სოფელი ციხისძირი)	6

დანართი N4

N	დასახელება	საიჯარო ფასი 1კვ.მ-დან 5 კვ.მ-ის ჩათვლით/ლარი/	საიჯარო ფასი 6კვ.მ-დან 10 კვ.მ-ის ჩათვლით/ ლარი/	საიჯარო ფასი 10 კვ.მ-დან ზევით ყოველ კვ.მ-ზე /ლარი/
1	ქობულეთის მუნიციპალიტეტის დაბა ჩაქვის ადმინისტრაციული ერთეული	78,75	157,5	3,15
2	ქობულეთის მუნიციპალიტეტის სხვა ადმინისტრაციული ერთეულები	26,25	52,5	1,05